საგარეო საქმეთა
სამინისტრო

საქართველო

41131-01-2-201910281706

№ 01/41131
28/10/2019

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილეს ბატონ **გოჩა ლორთქიფანიძეს**

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
მოადგილეს ქალბატონ **ნინო ჯავახაძეს**

საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ
მოადგილეს ქალბატონ **ლელა ჩიქოვანს**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ **გიორგი კაკაურიძეს**

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ირინე აბულაძეს**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **თამილა ბარკალაიას**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **მზია გიორგობიანს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის მოადგილეს ქალბატონ
ხატია წილოსანს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის
საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ლია გიგაურს**

საქართველოს გენერალური პროკურორის
მოადგილეს ბატონ **გიორგი გოგაძეს**

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის
ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს
უფროსს ქალბატონ **ნატალია ჯალიაშვილს**

საქართველოს პარლამენტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს ქალბატონ
თამარ ჩუგოშვილს

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს
ბატონ **გივი მიქანაძეს**

საქართველოს პარლამენტის ადამიანის
უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის
კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ **სოფიო
კილაძეს**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ქალბატონ
მზია თოდუას

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მდივანს ბატონ **გიორგი მიქაუტაძეს**

სსიპ - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი
სკოლის დირექტორს ბატონ **ვანო ბოლქვაძეს**

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ **თამარ ჟვანიას**

საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორს
ქალბატონ **ლონდა თოლორაიას**

სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო
სააგენტოს თავმჯდომარეს ბატონ **ზაზა ვაშაყმაძეს**

სსიპ -იურიდიული დახმარების სამსახურის
დირექტორს ბატონ **რაჟდენ კუპრაშვილს**

ძვირფასო კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ 2020 წლის 3 აგვისტომდე საქართველომ ადამიანის უფლებათა საბჭოს უნდა წარუდგინოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-3 ციკლის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის თაობაზე ყოვლისმომცველი ანგარიში. ამასთან, როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის უფლებათა საბჭოსთვის გაგზავნამდე არაუგვიანეს 2 თვისა, ანგარიშის პროექტი საქართველოს მთავრობის მიერ წარედგინება პარლამენტს რეგლამენტის 173-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილი ანგარიშის განხილვა გაიმართება ადამიანის უფლებათა საბჭოს 2020 წლის 2-13 ნოემბრის 37-ე სესიაზე, რომელშიც უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მაღალი რანგის წარმომადგენლები (დანართის სახით წარმოგიდგენთ 2015 წლის განხილვაში მონაწილე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობას).

როგორც თქვენთვის ცნობილია, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) არის ადამიანის უფლებათა საბჭოს მექანიზმი, რომლის ფარგლებში, გაერო-ს წევრი სახელმწიფოების მიერ წარდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ადამიანის უფლებათა საბჭო ყოველ 5 წელიწადში ერთხელ განიხილავს თითოეულ სახელმწიფოში არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობას.

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში, საქართველომ ადამიანის უფლებათა საბჭოს ანგარიში წარუდგინა 2015 წლის 10 ნოემბერს. ამასთან, წარდგენილი ანგარიშის განხილვის შედეგად, საქართველოსთან მიმართებით, შემუშავებულ

იქნა 203 რეკომენდაცია, რომელთაგან საქართველომ მხარი დაუჭირა 191 რეკომენდაციის შესრულებას. ხსენებულ კონტექსტში, აღსანიშნავია, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ აიღო ნებაყოფლობითი ვალდებულება, წარედგინა შუალედური ანგარიში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. შუალედური ანგარიში საქართველომ წარადგინა 2019 წლის მარტში.

UPR-ის მე-3 ციკლის ფარგლებში საქართველომ უნდა წარადგინოს ანგარიში საანგარიშო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შესახებ. ამავდროულად, ანგარიშთან ერთად, ადამიანის უფლებათა საბჭოს უნდა წარედგინოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში მიღებული 191 რეკომენდაციის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული ანგარიშის პროექტები პარლამენტს უნდა წარედგინოს არაუგვიანეს 2020 წლის 3 ივნისისა, გთხოვთ, თქვენი უწყების კომპეტენციის ფარგლებში, ***<u>2020 წლის 25 იანვრამდე</u>*** მოგვაწოდოთ ინფორმაცია ქართულ ენაზე უწყების მიერ საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში განხორციელებული რეფორმებისა თუ სიახლეების შესახებ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში წარდგენილი ანგარიშის საკითხების მიხედვით (იხ. დანართი). თუმცა, უწყება არ არის შეზღუდული ახალ ანგარიშში შეიტანოს ისეთი საკითხებიც, რომლებიც მასში არ არის ასახული. გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაციები იყოს მოკლედ შეჯამებული, რადგან ანგარიშის მოცულობა შეზღუდულია და იგი მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 20-23 გვერდს ქართულ ენაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ანგარიშში გარდა ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მიღწეული პროგრესისა, სასურველია აისახოს არსებული წინააღმდეგობები და დაბრკოლებები, ასევე, ხედვები ამ პრობლემათა მოგვარების მიზნით.

ამასთან, როგორც ზევით აღინიშნა, ანგარიშს უნდა დაერთოს მე-2 ციკლის ფარგლებში საქართველოს მიერ მიღებული რეკომენდაციების ჩამონათვალი და მათი შესრულების მიზნით, საქართველოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები. იმის გათვალისწინებით, რომ რეკომენდაციების შესრულების შესახებ შუალედური ანგარიში მომზადდა და წარდგენილ იქნა 2019 წელს, გთხოვთ, უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ინფორმაცია განაახლოთ წარმოდგენილი ცხრილის თანახმად (იხ. დანართი). ინფორმაციის განახლებასთან ერთად, გთხოვთ, ასევე მიუთითოთ სტატუსი იმის თაობაზე კონკრეტული რეკომენდაცია შესრულებულია, იმპლემენტაციის პროცესშია, თუ არ არის შესრულებული. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით სამუშაოები არ განხორციელებულია, სასურველია, რაც შეიძლება სწრაფად, დაიწყოს მათი შესრულების პროცესი, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება მხარდაჭერილი იყო სახელმწიფოს მხრიდან უწყებებთან კონსულტაციის შედეგად,

ასევე გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი უწყების წარმომადგენლის შესახებ, რომელიც უშუალოდ იქნება პასუხისმგებელი კოორდინაცია გაუწყოს აღნიშნული ანგარიშის მომზადების საკითხს.

ასევე გაცნობებთ, რომ უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლის ფარგლებში, 2020 წლის 19 მარტამდე ანგარიშის წარდგენის უფლება აქვთ აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამასთან, მას შემდეგ რაც დასრულდება ანგარიშის პროექტის მომზადება, იგი წარედგინება არასამთავრობო სექტორს მათი მოსაზრებების გაზიარებისათვის.

საგარეო საქმეთა სამინისტროდან საკონტაქტო პირები არიან: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე - მიხეილ კეკენაძე (ელ. ფოსტა: mkekenadze@mfa.gov.ge; ტელ: 294 5000 (შიდა 2008)), ამავე დეპარტამენტის მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი ანალიზის სამმართველოს უფროსი - ხუტა სალია (ელ. ფოსტა: khsalia@mfa.gov.ge; ტელ: 2945000 (შიდა 2007)) და ამავე დეპარტამენტის ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების სამმართველოს III მდივანი - მერი ჯანგავაძე (ელ. ფოსტა: mjangavadze@mfa.gov.ge; ტელ: 2945000 (შიდა 2003)).

დანართები:

1) უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში წარდგენილი სახელმწიფო ანგარიში (ინგლისურ ენაზე);
2) უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-2 ციკლის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციების შესრულების 2019 წლის შუალედური ანგარიში;
3) ქ. ჟენევაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭოს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-2 ციკლის ფარგლებში საქართველოს ანგარიშის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად დამტკიცებული საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობა.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე